

საქართველოს გარემოს დაცვისა და  
სოფლის მეურნეობის სამინისტროს  
სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს უფროსს  
ქალბატონ თამარ ფიცხელაურს

შპს „ბიო პლასტი“-ს

(ს/კ 412757994))

### სკრინინგის განცხადება

წარმოგიდგენთ ქ. ქობულეთში, მესხიძის ქ. N13 ა-ში (საკ. კოდი: 20.42.10.665) შპს „ბიო პლასტი“-ის (ს/კ 412757994) პოლიეთილენის, შესაფუთი მასალის მწარმოებელი საწარმოს სკრინინგის ანგარიშს.

ქ. ქობულეთში, მესხიძის ქ. N13ა-ში არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1228 კვ.მ ფართობის მქონე, იჯარით აღებულ ტერიტორიაზე (საკ. კოდი: 20.42.10. 665) 2019 წლიდან საწარმოს ექსპლუატაციას უწევდა შპს „ჯეორჯიან ტრანსი“ (ს/კ 446952218) და აწარმოებდა პოლიეთილენის შესაფუთ მასალას.

2022 წლიდან საწარმო საკუთრებაში გადაეცა შპს „ბიო პლასტი“ რომელმაც საწარმოში განახორციელა ცვლილებები, დაემატა ტექნოლოგიური დანადგარები, და გაიზარდა საწარმოს წარმადობა. აღნიშნული ცვლილება დაექვემდებარა გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით გათვალისწინებულ - სკრინინგის პროცედურის გავლას. ობიექტი შემოწმებული იქნა გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ და სკრინინგის გადაწყვეტილების გარეშე საქმიანობის განხორციელების გამო ობიექტის მიმართ გატარდა შესაბამის ადმინისტრაციული ღონისძიება.

ამდენად, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოგიდგენთ საწარმოს სკრინინგის ანგარიშს ელექტრონული სახით, გთხოვთ განიხილოთ და მიიღოთ გადაწყვეტილება საამქროს საქმიანობის გარემოზე ზემოქმედების შეფასებისადმი დაქვემდებარების შესახებ.

დანართი; სკრინინგის განაცხადი 1 ეგზემპლარად და დოკუმენტები ელექტრონული ვერსია.

პატივისცემით,

შპს „ბიო პლასტი“

დირექტორი: ვახტანგი ლიკლიკაძე

18.11.2022 წელი

# შპს „ბიო პლასტი“

ქ. ქობულეთი, მესხიძის ქ. N13ა

პოლიეთილენის შესაფუთი მასალის მწარმოებელი საწარმოს  
სკრინინგის ანგარიში

შემსრულებელი :  
შპს „ელსჰაუსი“  
ს/კ 412756334

დირექტორი: ზ.კვაბიძე  
ტელ: 591-97-50-90



დამკვეთი:  
შპს „ბიო პლასტი“  
ს/კ 412757994

დირექტორი: ვახტანგ ლიკლიკაძე  
ტელ: 558 13 10 10

A blue ink signature, likely belonging to Vachtanag Liklikadze, written in a cursive style.

2022 წელი

## შინაარსი

შესავალი -----	გვ. 3
1. ზოგადი ცნობები საწარმოს შესახებ ცხრილი-----	გვ.4
2. საწარმოს განთავსების ადგილის მდებარეობა-----	გვ.5
3. პლასტმასის ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს ტექნიკური მაჩვენებლები და ტექნოლოგიური აღწერა -----	გვ.6-8
4. საწარმოს ნედლეულით მომარაგება -----	გვ 9
5. საწარმოს წყალმომარაგება, კანალიზაცია და ჩამდინარე წყლების არინება -----	გვ 9
6. საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში გარემოზე შესაძლო ზემოქმედება-----	გვ.10
7. ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე -----	გვ.11-12
8. ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის რაოდენობის ანგარიში --	12-16
9. ხმაურის გავრცელება და ზემოქმედება -----	გვ. 17
10. ნიადაგის, გრუნტის, იწისქვეშა და ზედაპირ. წყლების დაბინძურების რისკები-გვ-	17
11. ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება -----	გვ 18
12. ნარჩენების წარმოქმნის და მართვის შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედება --	გვ 18
13. ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფთხოებაზე-----	გვ 19
14. კუმულაციური ზემოქმედება-----	გვ.19
15. სოციალურ გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედება -----	გვ. 20
16. დანართი:	გვ 21
• სურათი N1	
• გენ-გეგმა, ორთო ფოტო	
• სამეწარმეო ამონაწერი	
• იჯარის ხელშეკრულება	

## შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს ქ. ქობულეთში, მესხიძის ქ. N13 ა-ში (საკ. კოდი: 20.42.10.665) შპს „ბიო პლასტი“-ის (ს/კ 412757994) პოლიეთილენის, შესაფუთი მასალის მწარმოებელი საწარმოს სკრინინგის ანგარიშს.

ქ. ქობულეთში, მესხიძის ქ N13ა-ში არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1228 კვ.მ ფართობის მქონე, იჯარით აღებულ ტერიტორიაზე (საკ. კოდი: 20.42.10. 665) 2019 წლიდან საწარმოს ექსპლუატაციას უწევდა შპს „ჯეორჯიან ტრანსი“ (ს/კ 446952218) და პირველადი პოლიეთილენიდან აწარმოებდა პოლიეთილენის შესაფუთ მასალას.

2021 წლიდან საწარმო საკუთრებაში გადაეცა შპს „ბიო პლასტს“ რომელმაც საწარმოში განახორციელა ცვლილებები, დაემატა ტექნოლოგიური დანადგარები და გაიზარდა საწარმოს წარმადობა.

საწარმოო ობიექტში ხორციელდება სხვა და სხავ სახის შესაფუთი მასალის დამზადება, როგორც შემოტანილი პირველადი ნედლეულის ბაზაზე, ასევე მეორადი გადამუშავების ბაზაზე, კერძოდ ახორციელებს პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის ფირებისა და პარკების წარმოებას შემოტანილი პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის გრანულებით.

დაგეგმილი საქმიანობა - მეორადი პოლიეთილენის გადამუშავება (ნარჩენების აღდგენა) მეორადი ნედლეული მასალის (პოლიეთილენის გრანულების) მიღების მიზნით (აღდგენის კოდი R3) საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“-ს II დანართის 10.3 პუნქტის თანახმად „ნარჩენების აღდგენა, გარდა არასახიფათო ნარჩენების წინასაწრი დამუშავებისა“ მიეკუთვნება საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II დანართით გათვალისწინებულ საქმიანობას.

ვინაიდან აღნიშნული საქმიანობა საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს II დანართის 10.3 პუნქტით გათვალისწინებული საქმიანობაა, იმავე კოდექსის მეშვიდე მუხლის შესაბამისად ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას, ამის გათვალისწინებით გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის შესაბამისად შემუშავებული იქნა სკრინინგის ანგა

1. ზოგადი ცნობები საწარმოს შესახებ მოცემულია ცხრილში

ცხრილი N1

ზოგადი ინფორმაცია საქმიანობის განხორციელების შესახებ	
საქმიანობის განმახორციელებელი	შპს „ ბიო პლასტი“
საიდენტიფიკაციო კოდი	(ს/კ 412757994)
კომპანიის იურიდიული მისამართი	თერჯოლის მუნიციპალიტეტი სოფ ქვედა სიმონეთი, 31-ე ქუჩა N 16
საქმიანობის განხორციელების ადგილის მისამართი	ქ. ქობულეთი მესხიძის ქ N 13 ა
საქმიანობის სახე	პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის შესაფუთი მასალის წარმოება
დირექტორი	ვახტანგი ლიკლიკაძე
საკონტაქტო ტელეფონი	558 13 10 10
ელ.ფოსტა	
საკონსულტაციოს ფირმა	შპს „ელს ჰაუსი“
საკონტაქტო ტელეფონი	591-97-50-90
დაგეგმილი საქმიანობის ტექნიკური მახასიათებლები	
საქმიანობის განხორციელების ადგილი	ქ. ქობულეთი, მესხიძის ქ. N13ა არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი საკ. კოდი 20.42.10.665
განთავსების ადგილის GPS კოორდინატი	X -232348, Y-4632732
საპროექტო წარმადობა	900 ტ/წელ პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის შესაფუთი მასალისა და ფირების წარმოება
გამომშვებული პორდუქციის სახეობა	პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის შესაფუთი მასალა,
ნედლეულის სახეობა და ხარჯი	900 ტ/წელ გრანულები (პირველადი 150 ტ და მეორადი 750 ), საღებავი მყარი გრანულები -24,3 ტ/წელ, 2880 კგ/წელ ფლექსოგრაფიული საღებავი
სამუშაო დღეთა რაოდენობა წელიწადში	288 დღე
ტექნოლოგიურ პროცესების ხანგრძლიობა დღე-ღამეში, სთ	24 სთ
დაშორებულ უახლოეს საცხოვრებელი სახლიდან	15 მ

## 2. საწარმოს განთავსების ადგილმდებარეობა

შპს „ბიო პლასტი“-ს (ს/კ 412757994) პოლიეთილენის ფირებისა და შესაფუთი მასალის საწარმო მოწყობილია არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი 20.42.10. 665.). ქ. ქობულეთში, მესხიძის ქ, N 13ა. (იხ. დანართი ხელშეკრულება და სამეწარმეო ამონაწერი). საპროექტო ტერიტორია (შენობა ნგებობით) წარმოადგენს ფ/პ ირაკლი ნემსაძის (პ/ნ61004012462) საკუთრებას და კომპანიასთან ურთიერთობა რეგულირდება საიჯარო ხელშეკრულებით.

საწარმოს ტექნოლოგიური პროცესი მიმდინარეობს დახურულ შენობაში. შენობის ფართი 300კვ.მ-ია. ფართობის შენობა-ნაგებობა აღნიშნულ ტერიტორიაზე მოწყობილია წლების წინ. (იხ.დანართი საწარმოს გენ-გეგმა, ტექნოლოგიური დანადგარები) ტერიტორიის ფართობი 1228 კვ.მ -ია.

საწარმოს ირგვლივ ესაზღვრება თავისუფალი ტერიტორიები.

საწარმოს შენობიდან 15 მ მანძილის მოშორებით დასავლეთით ფიქსირდება მოქ. სვეტლანა მეროიანის უახლოესი საცხოვრებელი სახლი (საკ. კოდი:20.42.10.093 )

საამქროს ტერიტორიაზე და მის სიახლოვეს არ აღინიშნება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები, ტყით დაფარული ტერიტორია და წითელი ნუსხის სახეობები.

(იხ.დანართი სურ N3 საწარმოს სიტუაციური ნახაზი)

საწარმოს განთავსების ტერიტორიის GPS კოორდინატები მოცემულია ცხრილში N2.

ცხრილი N2

წერტ.N	წერილის GPSკოორდინატები	
	X	Y
1	232348	4632732
2	232363	4632730
3	232377	4632720
4	232359	4632698
5	232348	4632683
6	232328	4632706

### 3. საწარმოს ტექნოლოგიური სქემა

აღნიშნული ობიექტი წარმოადგენს ფუნქციონირებად საწარმოს. საწარმო ობიექტში ხორციელდება სხვა დასხვა სახის შესაფუთი მასალის დამზადება, როგორც შემოტანილი პირველადი ნედლეულის ბაზაზე, ასევე მეორადი გადამუშავების ბაზაზე, კერძოდ ახორციელებს პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის ფირებისა და პარკების წარმოებას შემოტანილი პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის გრანულებით. აღნიშნულ საწარმოში ასევე ხორციელდება მეორადი პოლიეთილენის გრანულების დამზადება - ცელოფნის პარკების დაჭრის დროს წარმოქმნილი ნარჩენების და წუნდებული პარკების დაქუცმაცება და მეორადი პოლიეთილენის გრანულების წარმოება.

საწარმოს წარმადობა გაიზარდა და შესაბამისად დაემატა ტექნოლოგიური დანადგარები. საწარმოს საპროექტო წარმადობა იქნება 900 ტ/წელ პოლიეთილენისა და პოლიპროპილენის შესაფუთი მასალის წარმოება, რისთვისაც საჭირო, ძირითადი ნედლეულის რაოდენობა შეადგენს 900 ტ/ წელ (პირველად 150 ტ და მეორად 750 ტ) გრანულებს.

საწარმოში დასაქმებული იქნება 15 ადამიანი, საწარმო იმუშავებს ერთცვლიანი სამუშაო რეჟიმით, 24 საათიანი სამუშაო დღით, წელიწადში 288 დღე და 6912 საათი.

საწარმოს შენობის ფართი 300 მ<sup>2</sup>-ია. შენობის იატაკი მობეტონებულია, ტექნოლოგიური პროცესი მიმდინარეობს დახურულ შენობაში, სადაც განთავსებულია შემდეგი სახის ტექნოლოგიური დანადგარები:

- პოლიეთილენის ფირის (ცელოფნის) ამომყავანი „YEI MODEL HDAS-55” ტიპის ექსტრუდერი (მაქსიმალური წარმადობა 80კგ/სთ-ში)
- პოლიეთილენის ფირის (ცელოფნის) ამომყავანი „AKABE MODEL AKMHK-55” ტიპის ექსტრუდერი (მაქსიმალური წარმადობა 45კგ/სთ-ში)
- პოლიეთილენის ფირის (ცელოფნის) ამომყავანი „ADAL MAKINA” ტიპის ექსტრუდერი (მაქსიმალური წარმადობა 100 კგ/სთ-ში)

- პოლიეთილენის ფირის (ცელოფნის) ამომყავანი „HILALI ” ტიპის ექსტრუდერი (მაქსიმალური წარმადობა 100კგ/სთ-ში)
- პოლიეთილენის ფირის (ცელოფნის) ამომყავანი „HILALI ” ტიპის ექსტრუდერი (მაქსიმალური წარმადობა 100კგ/სთ-ში)
- პოლიეთილენის ფირის (ცელოფნის) ამომყავანი „HILALI ” ტიპის ექსტრუდერი (მაქსიმალური წარმადობა 200კგ/სთ-ში)
- შემრევი ე. წ „მიქსერი” „ GH 50 L” (წარმადობა 50 კგ/სთ-ში)
- პოლიეთილენის ფირის (ცელოფნის) „OZIMAK MAKINA” ტიპის ფერიანი საბეჭდი (ფლექსოგრაფიული ტიპის) დანადგარი (მაქსიმალური წარმადობა 10კგ/24სთ-ში)
- პოლიეთილენის (წუნდებული ცელოფნის) ნარჩენების დამქუცმაცებელი , საფეკავი დანადგარი (წისქვილი) „ GH 150 L” (მაქსიმალური წარმადობა 150კგ/სთ-ში)
- პოლიეთილენის ფირის (ცელოფნის) საჭრელი „GUNPLAST-MAK ტიპის დანადგარი (მაქსიმალური წარმადობა 30კგ/სთ-ში)
- პოლიეთილენის პარკების საჭრელი დანადგარი „PAL MODEL PL32TPFA-V” ტიპის დანადგარი (მაქსიმალური წარმადობა 70კგ/სთ-ში)
- პოლიეთილენის პარკების საჭრელი დანადგარი „MS-600-P” ტიპის დანადგარი (მაქსიმალური წარმადობა 1500კგ/)
- პოლიეთილენის პარკების საჭრელი დანადგარი „MS-500 P-1500” ტიპის დანადგარი (მაქსიმალური წარმადობა 1500კგ/სთ-ში)
- პოლიეთილენის პარკების საჭრელი დანადგარი „MS-500 P-1500” ტიპის დანადგარი (მაქსიმალური წარმადობა 1500კგ/სთ-ში)
- პოლიეთილენის პარკების საჭრელი დანადგარი PAL MODEL PL32TPFA-V ტიპის დანადგარი (მაქსიმალური წარმადობა 1700კგ/სთ-ში)
- კომპრესორი „DALGAKIRAN” წარმადობით 2,2 კუბ.მ /წთ
- კომპრესორი „DALGAKIRAN” წარმადობით 5 კუბ.მ /წთ



ტექნოლოგიური სქემა შემდეგნაირია :

პოლიეთილენის (პირველადი და მეორადი) გრანულები თავსდება ექსტრუდერის სპეციალურ ავზში, საიდანაც ხდება მისი ნელ-ნელა მიწოდება აღნიშნული ექსტრუდერის კამერაში, საიდანაც მიმდინარეობს მისი დნობა 200° C გრადუსამდე. პოლიეთილენის ფირების მიღება წარმოებს გამღვალი პოლიეთილენის გრანულების წრიული ყალიბიდან გამოჭირხვით, შემდეგ კომპრესორის მეშვეობით ჰაერით გაბერვით და ვერტიკალური გაჭიმვით. ამის შედეგად ექსტრუდერის ზემოთა ნაწილში ამოდის პოლიეთილენის პარკი და მიმდინარეობს მისი დახვევა რულონის სახით. შემდგომ საბეჭდი დანადგარის საშულებით ხდება ცელოფნის პარკებზე შესაბამისი ნიშანდების დატანა და ისევ რულონებად დახვევა. შემდეგი ეტაპზე ხდება რულონზე დახვეული გრძივი პარკის დაჭრა საჭრელ დანადგარებზე ზომების მიხედვით. დაჭრის დროს წარმოიქმნება ნარჩენი პოლიეთილენი, (წელიწადში 350 კგ ოდენობით ) რომლის შემდგომი გადამუშავება ხდება დამქუცმაცებელ, საფქვავ დანადგარში (წისქვილში) და მეორადი პოლიეთილენის გრანულების წარმოება, რომელიც შემდგომ უბრუნდება ტექნოლოგიურ ციკლს.

საჭიროების შემთხვევაში ცელოფნის პარკებისათვის ხდება ფერის მიცემა. ფერის მისაცემად გამოიყენება საღებავი - MASTERBRETCH -ის მყარი გრანულები, შესაბამისი დოზით საღებავისა და პოლიეთილენის გრანულების არევა ხდება შემრევ დანადგარში ე.წ მიქსერში. საშუალოდ 1 ტონა მზა პროდუქციაში 27 კგ ფერადი მყარი გრანულია საჭირო. პარკებზე ნიშანდების გასაკეთებლად გამოიყენება საბეჭდი -თხევადი, ფლექსოგრაფიული საღებავი, რომლის შემადგენლობაში შედის პიგმენტები, ეთილის სპირტი და ეთილაცეტატი. ფლექსოგრაფიული საღებავის ხარჯი შეადგენს 10კგ/24 სთ-ს, ხოლო წელიწადში 2880კგ.

#### 4. საწარმოს ნედლეულით მომარაგება

საწარმოსთვის ძირითად ნედლეულს წარმოადგენს შემოტანილი პირველადი, პოლიეთილენის გრანულები და (საწარმოში წუნდებული პარკების დაქუცმაცებით) მეორადი გრანულები.

პირველადი პოლიეთილენის გრანულების და საღებავის მომწოდებელი კომპანია არის შპს „აა პლასტი“ (ს/კ506271826). პირველადი ნედლეული შემოიტანება დაფასოებული 50 კგ-იანი ტომრებით. მეორადი პოლიეთილენის მომწოდებელი ი/მ ინული ლიკლიკაძე (პ/ნ 60001042974). ასევე თავად საწარმოში ცელოფნის ნარჩენების დაქუცმაცებით მიღებული მეორადი პილიეთილენი.

ტექნოლოგიურ პროცესისათვის საჭიროა მხოლოდ ენერგორესურსები, რომლის მოწოდებაც ხორციელდება უახლოესი ქვესადგურიდან. ხელშეკრულების საფუძველზე. საწარმოს მიმდინარე ტექნოლოგიური პროცესიდან გამომდინარე წყალი არ ესაჭიროება. საამქროში დასაქმებულია თხუთმეტი ადამიანი და საყოფაცხოვრებო დანიშნულებით (სასმელი) წყლის გამოყენება ხდება ცენტრალური წყამომარაგების ქსელიდან.

#### 5. საწარმოს წყალმომარაგება, კანალიზაცია და ჩამდინარე წყლების არინება

როგორც წინ პარაგრაფში აღინიშნა, საწარმოს მიმდინარე ტექნოლოგიური პროცესიდან გამომდინარე წყალი არ ესაჭიროება. საამქროში დასაქმებულია თხუთმეტი ადამიანი და საყოფაცხოვრებო დანიშნულებით (სასმელი) წყლის გამოყენება ხდება ცენტრალური წყამომარაგების ქსელიდან.

საწარმოში მოწყობილია სანიტარული კვანძი, რომელიც დაერთებულია ცენტრალურ საკანალიზაციო ქსელზე. საყოფაცხოვრებო-სამეურნეო-ფეკალური ჩამდინარე წყლები და შესაბამისად საწარმოდან არ არის მოსალოდნელი ზედაპირული წყლის დაბინძურება.

## 6. საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში გარემოზე შესაძლო ზემოქმედება

საამქროში მიმდინარე ტექნოლოგიური პროცესებისა და გამოყენებული ნედლეულის გათვალისწინებით გარემოში არ გამოიყოფა სახიფათო და ტოქსიკური (საშიშროების მაღალი კლასის) ნივთიერებები. ნედლეული წარმოადგენს არასახიფათო ნარჩენს. საამქროს ექსპლუატაციის დროს ძირითადი დამაბინძურებელი ნივთიერება არის პოლიმერული მტვერი, რომლის გამოყოფის ინტენსივობა იმდენად დაბალია, რომ გარემოზე და ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფით შედეგებს ვერ მოახდენს.

ობიექტის საქმიანობის განხორციელებისას განხილულია შემდეგი სახის ზემოქმედებები:

- ❖ ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების ემისიები და ხმაურის გავრცელება;
- ❖ ნიადაგისა და გრუნტის დაბინძურების რისკები;
- ❖ ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება;
- ❖ მიწისქვეშა წყლების დაბინძურების რისკები;
- ❖ ზედაპირული წყლების დაბინძურების რისკები;
- ❖ ნარჩენების წარმოქმნის და მართვის შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედება;
- ❖ ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე;
- ❖ კუმულაციური ზემოქმედება

## 7. ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე

საწარმო ექსპლუატაციის დროს მნიშვნელოვან გავლენას ატმოსფერულ ჰაერზე ვერ მოახდენს, რადგან ტექნოლოგიური პროცესების დროს ატმოსფერულ ჰაერში არ ხდება სახიფათო ნივთიერებების გამოყოფა. ატმოსფერულ ჰაერზე ზემოქმედება გამოიხატება ატმოსფერულ ჰაერში პოლიმერული მტვრის, ძმარმჟვასა და ნახშირჟანგის, აცეტონის ეთილის სპირის და ეთილაცეტატის გამოყოფით.

ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა სახეობები და მათი ძირითადი მახასიათებელი სიდიდეები მოცემულია ცხრილ - 2-ში

ცხრილი 2. ნივთიერებების მახასიათებელი სიდიდეები.

კოდი	მავნე ნივთიერებათა დასახელება	ზღვრული დასაშვები კონცენტრაცია მგ/მ <sup>3</sup>		მავნე ნივთიერებათა საშიშროების კლასი
		მაქსიმალური ერთჯერადი	საშუალო დღე-ღამური	
988	პოლიმერული მტვერი	---	0,1	3
1555	ძმარმჟვა	0,2	0,06	3
337	ნახშირჟანგი	5,0	3,0	4
1401	აცეტონი	0,6	--	4
1061	ეთილის სპირტი	5,0	--	4
1240	ეთილაცეტატი	0,1	--	4

ანგარიში შესრულებულია საწარმოს მაქსიმალური დატვირთვის პირობებისათვის საანგარიშო მეთოდების და საწარმოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის გათვალისწინებით.

საწარმოს ფუნქციონირებისას ატმოსფერულ ჰაერის დაბინძურების წყაროებს წარმოადგენს ექსტურდერები, საბეჭდი დანადგარი და დამქუცმაცებელი. ამ დროს შესაძლებელია გარემოში გამოიყოს:

- ❖ პოლიმერული მტვერი,
- ❖ ძმარმჟვა
- ❖ ნახშირჟანგი
- ❖ აცეტონი
- ❖ ეთილის სპირტი
- ❖ ეთილაცეტატი

ტექნოლოგიური პროცესის დროს გამოყოფილ მავნე ნივთიერებათა რაოდენობების გაანგარიშება ხდება „დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუმენტული მეთოდის, დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის დამდგენი სპეციალური გამზომ-საკონტროლო აპარატურის სტანდარტული ჩამონათვალისა და დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ტექნოლოგიური პროცესების მიხედვით ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის საანგარიშო მეთოდის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის“ მიხედვით, რეგლამენტის 79-ე დანართის შესაბამისად ხვედრითი გამოყოფის კოეფიციენტის მნიშვნელობები მოცემულია N 3 ცხრილში

ცხრილი N3

დამაბინძურებელი ნივთიერება		ხვედრითი გამოყოფის კოეფიციენტი დაგამუშავებული მასალის მასის ერთეულზე გ/კგ
კოდი	დასახელება	
0988	პოლიმერული მტვერი	1,35
1555	ძმარმჟავა	0,4
0377	ნახშირქანგი	0,8
1401	აცეტონი	0,5
1061	ეთილის სპირტი	0,2
1240	ეთილაცეტატი	0,2

#### 8. ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეულ მავნე ნივთიერებათა რაოდენობის ანგარიში

➤ გაფრქვევის ანგარიში საფქვაკი დანადგარიდან (გაფქრვევის გ-1 წყარო)

ემისიების გაანგარიშება ჩატარებულია სახელმძვანელო მეთოდის დანართი 82-ის შესაბამისად, რომლის მიხედვითაც პოლიპროპილენის და პოლიეთილენის დაქუცმაცების დროს საწარმოში დამონტაჟებული საფქვაკი დანადგარისათვის - პოლიეთილენის (წუნდებული ცელოფნის) ნარჩენების დამქუცმაცებული, საფქვაკი დანადგარი (წისქვილი) „ GH 150 L” (მაქსიმალური წარმადობა 150კგ/სთ-ში) ხვედრითი გამოყოფის კოეფიციენტი შეადგენს 0,7გ/კგ-ზე.

აღნიშნული მონაცემების გათვალისწინებით მეორადი პოლიეთილენის დაქუცმაცების დროს საფქვავე დანადგარიდან მტვრის გაფრქვევის ინტენსივობა გაწმენდის გარეშე ტოლი იქნება:

$$G_{\text{მტვ.}} = 350 \times 0.7 / 3600 = 0,0680 \text{ გ/წმ}$$

იმის გათვალისწინებით რომ დანადგარის წლიური სამუშაო ფონდია 6912სთ/წელ მაშინ წამური გაფრქვევა ტოლი იქნება:

$$M = 0,0680 \text{ გ/წმ} \times 3600 \text{ წმ} \times 6912 \text{ სთ/წელ} \times 10^{-6} = 1,692 \text{ ტ/წელ}$$

ასპირაციის არ არსებობის შემთხვევაში მეთოდური სახელმძღვანელოს მიხედვით მყარი შეწონილი ნაწილაკების ემისიისათვის გამოიყენება კოეფიციენტი 0,4 ამ კოეფიციენტის გამოყენებით გამოყოფილი მტვრის გაფრქვევის სიმძლავრე იქნება

$$G_{\text{მტვ.}} = 0,0680 \text{ გ/წმ} \times 0,4 = 0,0272 \text{ გ/წმ}$$

$$M = 0,0272 \text{ გ/წმ} \times 3600 \text{ წმ} \times 6912 \text{ სთ/წელ} \times 10^{-6} = 0,676 \text{ ტ/წელ}$$

- გაფრქვევის ანგარიში პოლიეთილენის ფირის (ცელოფნის) ამომყავანი „YEI MODEL HDAS-55“ ტიპის ექსტრუდერიდან ( მაქსიმალური წარმადობა - 80კგ/სთ-ში) (გ-2 წყარო)

პოლიეთილენის ფირის (ცელოფნის) ამომყავანი „YEI MODEL HDAS-55“ ტიპის ექსტრუდერის (მაქსიმალური წარმადობა 80კგ/სთ-ში) მუშაობისას ატმოსფერულ ჰაერში გამოიყოფა ატმოსფერულ ჰაერში გამოიყოფა აირად ფაზაში არსებული დამაბინძურებელი ნივთიერებები: კერძოდ, ნახშირბადის ოქსიდი და ძმარმჟავა (ეთანმჟავა)

თუ გავითვალისწინებთ, რომ აღნიშნული დანადგარის მუშაობისას ჰაერში ყოველ კილოგრამ გამოშვებულ პორდუქტიაზე გამოიყოფა: ძმარმჟავა -0,4 გ/კგ-ზე, ნახშირჟანგი - 0,8გ/კგ-ზე, მაქსიმალური წარმადობა - 80კგ/სთ-ში .

$$G_{\text{ძმარმჟ.}} = 552960 \times 0,4 \times 10^{-6} = 0,221 \text{ გ/წმ}$$

$$M_{\text{ძმარმჟავა}} = 0,221 \text{ გ/წმ} \times 10^6 / (3600 \text{ წმ} \times 6912 \text{ სთ/წელ}) = 0,0088 \text{ ტ/წელ}$$

$$G_{\text{ნახშირჟანგი}} = 552960 \times 0,8 \times 10^{-6} = 0,442 \text{ გ/წმ}$$

$$M_{\text{ძმარმჟავა}} = 0,442 \text{ გ/წმ} \times 10^6 / (3600 \text{ წმ} \times 6912 \text{ სთ/წელ}) = 0,0177 \text{ ტ/წელ}$$

- გაფრქვევის ანგარიში პოლიეთილენის ფირის (ცელოფნის) ამომყავანი „AKABE MODEL AKMHK-55” ტიპის ექსტრუდერიდან (მაქსიმალური წარმადობა 45კგ/სთ-ში) - (გ-3 წყარო)

$$G_{\text{მარყ.}} = 311040 \times 0.4 \times 10^{-6} = 0,124 \text{ გ/წმ}$$

$$M_{\text{მარმყავა}} = 0,124 \text{ გ/წმ} \times 10^6 / (3600 \text{ წმ} \times 6912 \text{ სთ/წელ}) = 0,0049 \text{ ტ/წელ}$$

$$G_{\text{ნახშირყანგი}} = 311040 \times 0.8 \times 10^{-6} = 0,248 \text{ გ/წმ}$$

$$M_{\text{მარმყავა}} = 0,248 \text{ გ/წმ} \times 10^6 / (3600 \text{ წმ} \times 6912 \text{ სთ/წელ}) = 0,0099 \text{ ტ/წელ}$$

- გაფრქვევის ანგარიში პოლიეთილენის ფირის (ცელოფნის) ამომყავანი „ADAL MAKINA” ტიპის ექსტრუდერიდან (მაქსიმალური წარმადობა 100კგ/სთ-ში)- (გ-4 წყარო)

$$G_{\text{მარყ.}} = 691200 \times 0.4 \times 10^{-6} = 0,0027 \text{ გ/წმ}$$

$$M_{\text{მარმყავა}} = 0,0027 \text{ გ/წმ} \times 10^6 / (3600 \text{ წმ} \times 6912 \text{ სთ/წელ}) = 0,000108 \text{ ტ/წელ}$$

$$G_{\text{ნახშირყანგი}} = 6912 \times 0.8 \times 10^{-6} = 0,0055 \text{ გ/წმ}$$

$$M_{\text{მარმყავა}} = 0,0055 \text{ გ/წმ} \times 10^6 / (3600 \text{ წმ} \times 6912 \text{ სთ/წელ}) = 0,00022 \text{ ტ/წელ}$$

- გაფრქვევის ანგარიში პოლიეთილენის ფირის (ცელოფნის) ამომყავანი „HILALI ” ტიპის ექსტრუდერიდან (მაქსიმალური წარმადობა 100კგ/სთ-ში)- (გ-5 წყარო)

$$G_{\text{მარყ.}} = 691200 \times 0.4 \times 10^{-6} = 0,0027 \text{ გ/წმ}$$

$$M_{\text{მარმყავა}} = 0,0027 \text{ გ/წმ} \times 10^6 / (3600 \text{ წმ} \times 6912 \text{ სთ/წელ}) = 0,000108 \text{ ტ/წელ}$$

$$G_{\text{ნახშირყანგი}} = 6912 \times 0.8 \times 10^{-6} = 0,0055 \text{ გ/წმ}$$

$$M_{\text{მარმყავა}} = 0,0055 \text{ გ/წმ} \times 10^6 / (3600 \text{ წმ} \times 6912 \text{ სთ/წელ}) = 0,00022 \text{ ტ/წელ}$$

- გაფრქვევის ანგარიში პოლიეთილენის ფირის (ცელოფნის) ამომყავანი „HILALI ” ტიპის ექსტრუდერიდან (მაქსიმალური წარმადობა 100კგ/სთ-ში)- (გ-6 წყარო)

$$G_{\text{მარყ.}} = 691200 \times 0.4 \times 10^{-6} = 0,0027 \text{ გ/წმ}$$

$$M_{\text{მარმყავა}} = 0.0027 \text{ გ/წმ} \times 10^6 / (3600 \text{ წმ} \times 6912 \text{ სთ/წელ}) = 0,000108 \text{ ტ/წელ}$$

$$G_{\text{ნახშირყანგი}} = 6912 \times 0.8 \times 10^{-6} = 0.0055 \text{ გ/წმ}$$

$$M_{\text{მარმყავა}} = 0.0055 \text{ გ/წმ} \times 10^6 / (3600 \text{ წმ} \times 6912 \text{ სთ/წელ}) = 0,00022 \text{ ტ/წელ}$$

- გაფრქვევის ანგარიში პოლიეთილენის ფირის (ცელოფნის) ამომყავანი „HILALI ” ტიპის ექსტრუდერიდან (მაქსიმალური წარმადობა 200კგ/სთ-ში) - (გ-7 წყარო)

$$G_{\text{მარყ.}} = 1382400 \times 0.4 \times 10^{-6} = 0,552 \text{ გ/წმ}$$

$$M_{\text{მარმყავა}} = 0.552 \text{ გ/წმ} \times 10^6 / (3600 \text{ წმ} \times 6912 \text{ სთ/წელ}) = 0,0022 \text{ ტ/წელ}$$

$$G_{\text{ნახშირყანგი}} = 1382400 \times 0.8 \times 10^{-6} = 0.110 \text{ გ/წმ}$$

$$M_{\text{მარმყავა}} = 0.110 \text{ გ/წმ} \times 10^6 / (3600 \text{ წმ} \times 6912 \text{ სთ/წელ}) = 0,0044 \text{ ტ/წელ}$$

- გაფრქვევის ანგარიში პოლიეთილენის ფირის (ცელოფნის) „OZIMAK MAKINA” ტიპის ფერიანი საბეჭდი (ფლექსოგრაფიული ტიპის) დანადგარიდან (მაქსიმალური წარმადობა 10კგ/24სთ-ში) (გ-8 წყარო)

პოლიეთილენის ფირის (ცელოფნის) საბეჭდად გამოიყენება ფლექსოგრაფიული საღებავი რომლის შემადგენლობაში შედის : აცეტონი, ეთილის სპირტი, ეთილაცეტატი და პიგმენტები. დანადგარის მუშაობისას საღებავის ხარჯი შეადგენს 10კგ/24სთ-ში, წლიური რაოდენობა შეადგენს  $10 \times 288 = 2880 \text{ კგ} = 2,88 \text{ ტ}$

ფირის დახატვისას გამხსენები მთლიანად ორთქლდება და გაფრქვევის ინტენსივობა ტოლი იქნება:



$$M_{\text{აცეტონი}} = 10 \times 1000 \times 0.5 / 6912 \text{ სთ/წელ} = 0.723 \text{ გ/წ}$$

$$G_{\text{აცეტონი}} = 2.88 \times 0.5 = 1.44 \text{ ტ/წელ}$$

$$M_{\text{ეთილის სპირტი}} = 10 \times 1000 \times 0.2 / 6912 \text{ სთ/წელ} = 0.289 \text{ გ/წ}$$

$$G_{\text{ეთილის სპირტი}} = 2.88 \times 0.2 = 0.576 \text{ ტ/წელ}$$

$$M_{\text{ეთილაცეტატი}} = 10 \times 1000 \times 0.2 / 6912 \text{ სთ/წელ} = 0.289 \text{ გ/წ}$$

$$G_{\text{ეთილაცეტატი}} = 2.88 \times 0.2 = 0.576 \text{ ტ/წელ}$$

➤ (წისქვილი) „ GH 150 L” (მაქსიმალური წარმადობა 150 კგ/სთ-ში) (გ-9 წყარო)

პოლიმერული ფირების ნარჩენების დამაქუცმაცებელი დანადგარის მუშაობისას ატმოსფერულ ჰაერში ყოველ კილოგრამ გამოშვებულ პროდუქციაზე გამოიყოფა 0,7 გ/კგ-ზე პოლიმერული მტვერი, მაშინ ყოველივე ამის გათვალისწინებით გაფრქვევის ანგარიში ტოლი იქნება:

$$M_{\text{მტვ.}} = 150 \times 0.7 / 3600 = 0,0291 \text{ გ/წ}$$

$$G_{\text{ეთილაცეტატი}} = 0,0291 \times 3600 \times 6912 \text{ სთ} \times 10^{-6} = 0.724 \text{ ტ/წელ}$$

სულ ჯამში საწაროს ფუნქციონირებისას ატმოსფერულ ჰაერში გამოიყოფა :

პოლიმერული მტვერი - 0, 676 ტ/წელ,

ნახშირჟაინი - 0,032 ტ/წელ

ძმარაჯავა - 0,0191 ტ/წელ

აცეტონი - 1,44 ტ/წელ

ეთილის სპირტი - 0,576 ტ/წელ

ეთილაცეტატი - 0.576 ტ/წელ

## 9. ხმაურის გავრცელება და ზემოქმედება

საწარმოს მუშაობას თან სდევს ხმაურის წარმოქმნა და გავრცელება, რამაც შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს გარემოზე და ადამიანებზე. საწარმოს ექსპლუატაციის პერიოდში ხმაურის გავრცელების ძირითად წყაროებს წარმოადგენს დამქუცმაცებელი (წისქვილი), მისი ხმაურის დონის დადგენის მიზნით იდენტურ საწარმოებში ჩატარებულმა ინსტრუმენტულმა გაზომვებმა გვიჩვენა, რომ ხმაურის დონე საწარმოო უბანზე დღისით 45-50 დბა-ია. ვინაიდან საამქრო განთავსებულია დახურულ შენობაში, ეს ხმაურის დონეს არანაკლებ 15 დბა-ით ამცირებს. ამდენად, ხმაურის დონე შენობის გარეთ 40-45დბა-ს არ აღემატება. გარდა ამისა საწარმო შენობა უახლოესი საცხოვრებელი სახლიდან დამორებულია მეტრის მანძილზე. ნორმატიული დოკუმენტით – სანიტარიული ნორმები „ხმაური სამუშაო ადგილებზე, საცხოვრებელი, საზოგადოებრივი შენობების სათავსოებში და საცხოვრებელი განაშენიანების ტერიტორიაზე“ საცხოვრებელი სახლების მიმდებარე ტერიტორიაზე ხმაურის დასაშვები დონე, დღის საათებისათვის შეადგენს 55 დბა-ს, ხოლო ღამის საათებისათვის 45 დბა-ს.

ამრიგად, ხმაურის დონე საანგარიშო წერტილში, უახლოეს დასახლებულ პუნქტში არ აღემატება ნორმირებულ სიდიდეს დღის და ღამის საათებისათვის. კაპიტალური კედლის ეფექტურობა შეადგენს 10-15დბა-ს. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, შეიძლება დავასკვნათ, რომ საცხოვრებელ სახლებში საწარმოს გავლენით მოსალოდნელი ხმაურის დონე ვერ გადააჭარბებს მთავრობის N398 დადგენილებით დამტკიცებულ ნორმას (35დბა-ს).

## 10. ნიადაგის, გრუნტის, მიწისქვეშა და ზედაპირული წყლების დაბინძურების რისკები

ნიადაგის და გრუნტების დაბინძურების რისკები მინიმუმამდეა დაყვანილი, რადგან საწარმოო პროცესი არ გამოიყენება ისეთი ნივთიერებები, რომელიც გამოიწვევს ნიადაგისა და გრუნტის დაბინძურებას. მით უმეტეს საწარმოო პროცესი მიმდინარეობს მთლიანად დახურულ იატაკბეტონირებულ შენობაში.

მიწისქვეშა და სანიადვრე წყლების დაბინძურების რისკები საამქროს ტერიტორიიდან არ არსებობს, რადგან საწარმოო პროცესის მიმდინარეობის დროს გამოიყენება მხოლოდ ისეთი ნედლეული და მასალები, რომელიც პრაქტიკულად გამორიცხავს მიწისქვეშა წყლების დაბინძურებას. ასევე საწარმოს შენობაში მოწყობილი სანიტარული კვანძი დაერთებულია ცენტრალურ საკანალიზაციო სისტემაზე. აქედან მამომდინარე ტერიტორიაზე დაბინძურების წყაროები პრაქტიკულად არ არსებობს.

## 11. ბიოლოგიურ გარემოზე ზემოქმედება

საამქრო განთავსებულია ათვისებულ ტერიტორიაზე, წლების წინ აშენებულ შენობა-ნაგებობაში. ამდენად, მისი ფუნქციონირება ლანდშაფტზე რაიმე გავლენას ვერ იქონიებს. საამქროს მიმდებარედ არსებულ თავისუფალ ტერიტორიაზე დარგულია და ხარობს სხვა და სხვა სახეობის ხემცენარეები, ასევე გავრცელებულია სარეველა მცენარეები. საწარმოს განთავსების ტერიტორიაზე არ არის დაფიქსირებული გარეული ცხოველების არსებობა.

საწარმოს ფუნქციონირება არ არის დაკავშირებული მშენებლობასთან, ახალი ტერიტორიის ათვისებასთან. არ იგეგმება ხეების მოჭრა ან ისეთი სამუშაოები, რომლებიც გავლენას მოახდენს მცენარეთა საფარზე. ტექნოლოგიური დანადგარი მოთავსებულია შენობის შიგნით, მუშაობა მიმდინარეობს მხოლოდ დღის საათებში, ამდენად ბიომრავალფეროვნებაზე რაიმე ზეგავლენას ვერ მოახდენს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით გამორიცხულია ბუნებრივ ლანდშაფტზე, ფლორასა და ფაუნაზე დამატებითი უარყოფითი გავლენის მოხდენა.

## 12. ნარჩენების წარმოქმნის და მართვის შედეგად მოსალოდნელი ზემოქმედება, ნარჩენებით გარემოს დაზინძურების რისკები

საწარმოს ექსპლუატაციისას საწარმოო და სახიფათო ნარჩენების წარმოქმნას ადგილი არ აქვს. პროცესი უდანაკარგოა.

საამქროში მოსალოდნელია მხოლოდ საყოფაცხოვრებო ნარჩენების წარმოქმნა. ვინაიდან საამქროს ოპერირებას უწევს 15 მუშა პერსონალი, საყოფაცხოვრებო ნარჩენების რაოდენობა არ აღემატება 1 მ<sup>3</sup> წელიწადში.

საყოფაცხოვრებო ნარჩენებისთვის განთავსებული იქნება სპეციალური ბუნკერი, რომლის გატანაც მოხდება ქ. ქობულეთის დასუფთავების სამსახურის მიერ.

რაც შეეხება სახიფათო ნარჩენებს, მათი წარმოქმნა არ ხდება საამქროში. ტექნოლოგიური დანადგარი ფუნქციონირებისათვის საჭიროებს ელექტრო ენერჯიას. ასევე მისი დაზიანის შენთვევაში, შეკეთება/ რემონტი საამქროში არ მოხდება, რაც გამორიცხავს სახიფათო ნარჩენის წარმოქმნას.

### 13. ზემოქმედება ადამიანის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებაზე

